



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49210575

თარიღი:26/02/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 11**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48210429; 11/02/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე გიორგი ჩირგაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.2<sup>1</sup> პუნქტი: „2.2.1 ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა (217.80 ლარი) მოხდეს 2021 წლის 30 ივნისამდე გადასახდელ საიჯარო ქირასთან ერთად (217.80 ლარი + 217.80 ლარი). საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიძღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებული N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 11 თებერვლის N48-48210429 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

